



ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 751

17/04/2018

ქალაქი ბათუმი

751-05-4-201804171810



ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მაღალი აკადემიური მოსწრების სტუდენტთა წახალისების მიზნით ერთჯერადი ფულადი ჯილდოს გაცემის შესახებ

„ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - განათლების, კულტურის სპორტის, ტურიზმის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის 2018 წლის კულტურულ-საგანმანათლებლო, სპორტული, სტუდენტური და ახალგაზრდული ღონისძიებების დამტკიცების შესახებ“ - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 დეკემბრის №79 განკარგულების დანართი №4-ით დამტკიცებულია „ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მაღალი აკადემიური მოსწრების სტუდენტთა ხელშეწყობის პროგრამა“, რომლის მიხედვითაც წახალისებებიან ის სტუდენტები, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში, სწავლობენ საქართველოს აკრედიტირებულ უმაღლეს სასწავლებლებში და 2017-2018წწ პირველ სემესტრში მიღებული აქვთ 91 და მეტი (A კატეგორია) ქულა. სტუდენტთა ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიაში სულ შემოვიდა 33 სტუდენტის განცხადება, აქედან 29 სტუდენტის განცხადებამ დააკმაყოფილა პროგრამის დადგენილი კრიტერიუმები, ხოლო 4 სტუდენტის განცხადებამ ვერ დააკმაყოფილა დადგენილი მოთხოვნები.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით მიზანშეწონილია 29 სტუდენტს წახალისების მიზნით ერთჯერადი ფულადი ჯილდოს სახით ჩაერიცხოს თანხა, თითოეულს 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით, პროგრამით გათვალისწინებული ზედა ზღვარის ფარგლებში.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის ე.ე ქვეპუნქტის, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 10 აპრილის №704 ბრძანებისა და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მაღალი აკადემიური მოსწრების სტუდენტთა გამოსავლენი კომისიის თავმჯდომარის, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის მალხაზ სალვარიძის 2018 წლის 12 აპრილის №5707/05 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე **ვბრძანებ:**

1. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მაღალი აკადემიური მოსწრების სტუდენტთა წახალისების მიზნით ერთჯერადი ფულადი ჯილდოს სახით თითოეულ სტუდენტს ჩაერიცხოს 500 (ხუთასი) ლარი დანართი №1-ის შესაბამისად, სულ თანხა 14 500 (თოთხმეტიათას ხუთასი) ლარი.

2. დაევალოს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველად სტრუქტურულ ერთეულს საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს (ტ.ნაკაშიძე) უზრუნველყოს გამოყოფილი მიზნობრივი თანხების დაფინანსება.

3. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველად სტრუქტურულ ერთეულს განათლების და კულტურის სამსახურს.

4. ბრძანების გაცნობა დაინტერესებულ პირზე დაევალოს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის მოქალაქეთა მომსახურებისა და საქმისწარმოების განყოფილებას.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (ქ. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358) მისი დაინტერესებული პირის მიერ გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

ჯუმბერ ვარდმანიძე

მუნიციპალიტეტის მერი

ხელმძღვანელობა